ოქმი:**ო37.37210951**

თარიღი:**05/04/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს "ღია მმართველობა-პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის" ფარგლებში 2021 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით მოწვეული პარტნიორებისა და სამუშაო ჯგუფის წევრების სხდომის
ოქმი N3

2021 წელი, 29 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.30 საათზე

შეხვედრის ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი;

სხდომას თავმჯდომარე: დავით დარჩია-ოზურგეთის მუნიციპლიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ნანა თავდუმაძე - ღია მმართველობა პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის საკონტაქტო პირი, აპარატის უფროსი; გოგი ინწკირველი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; გია მამაკაიშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; პავლე ჭყონია - მერიის საფინანსო სამსახურის განყოფილების უფროსი; გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის აღმასრულებელი დირექტორი -თამარ ღლონტი; გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პროექტების მენეჯერი - ოთარ რევიშვილი; საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის აღმასრულებელი დირექტორი - ლევან ხინთიბიძე;

დღის წესრიგი:

1. OGP Local - ღია მმართველობა-პარტნიორობის ადგილობრივი პროგრამის" 2021 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში სტრატეგიული ხედვის განსაზღვრა

მომხსენებელი: დავით დარჩია;

თანამომხსენებელი: ლევან ხინთიბიძე

2. ღია მმართველობა -ადგილობრივი პროგრამის ოზურგეთის ფორუმის და მუდმივმოქმედი საკოორდინაციო ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით სამართლებრივი რეგულაციების შემუშავების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დაჩია

თანამომხსენებელი: ნანა თავდუმაძე

დღის წესრიგის პირველ საკითხზე დავით დარჩიამ ყურადღება გაამახვილა OGP Local-ის სამოქმედო გეგმის სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებაში მონაწილეობისა და კოორდინაციის მნიშვნელობაზე.

ლევან ხინთიბიძემ წარმოადგინა სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, სტრატეგიული მიზნები და ქვე-ამოცანები და აღნიშნა, რომ ხედვის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამი ვალდებულება, რადგან სწორედ ამ ვალდებულების შესრულებითაა შესაძლებელი ხედვაში მოცემული სტრატეგიულ იმიზნების შესრულება .

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ფორუმის, როგორც მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი შექმნისა და ჩამოყალიბების სამართლებრივი ასპექტები და ამ მხრივ არსებული გამოწვევები და მათი გადაწყვეტის გზები.

ოთარ რევიშვილის განცხადებით, საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ფორუმი შესაძლოა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განისაზღვროს, როგორც თვითმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

გადაწყვიტეს:

1.მორიგ შეხვედრაზე, სტრატეგიული ხედვის რედაქტირებული დოკუმენტის წარმოდგენა დაევალოს საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებს.

2. „ღია მმართველობა ადგილობრივი პროგრამის“ ფარგლებში, სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის, ფორუმის - როგორც მრავალმხრივი მონაწილეობის საკონსულტაციო მექანიზმის შექმნის მიზნით, გაგრძელდეს საკანონმდებლო რეგულაციებზე მუშაობა. წინადადებები განსახილველ;ად წარმოდგენილ იქნას მორიგ სხდომაზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი